საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიკოფრონი

ლიკოფრონი (Lycophron), ძვ. წ. III ს. ბერძენი პოეტი და გრამატიკოსი, ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელი. შეუთხზავს 11 წიგნის შემცველი ისტ.-ლიტ. გამოკვლევა „კომედიისათვის“ და 20-მდე ტრაგედია (მოღწეულია ფრაგმენტები და სათაურები). სრულადაა შემონახული ლ-ის პოეტური თხზულება „ალექსანდრა“ ანუ „კასანდრა“, რ-იც შეიცავს 1474 იამბიკური ტრიმეტრით გამართულ კარედს. მასში დაცულია მრავალი მითოლ. და ისტ.-გეოგრ. ხასიათის ცნობა. მოხსენიებულია არგონავტების თქმულების შესახებაც: 50 მოგზაურთან ერთად იასონის ჩასვლა „ლიგისტიკურ კვტაიაში“ (ქუთაისი), ურჩხულის დაძინება, ცეცხლმფრქვევი ხარების დამორჩილება და „მეტყველი კაჭკაჭით“ (ხომალდი „არგო“) ცხვრის ტყავის (ოქროს საწმისი) და „ნათესავთმკვლელი ჩიტის“ (მედეა) გატაცება; აგრეთვე, მოთხრობილია აიასა და კორინთოს გამგებლის – აიეტის მიერ მედეას საძებნელად გაგზავნილი კოლხების პოლაში დასახლებისა და საიქიოს სამეფოში აქილევსის „კვტაიელ“ (ქუთაისელ) ასულზე (მედეა) დაქორწინების ამბავი. თხზულება დაწერილია მეტისმეტად ღვლარჭნილი ენით, რის გამოც ავტორს „სკოტეინოსი“ (ბნელი) შეარქვეს. „ალექსანდრას“ XI ს. ხელნაწერს დართული აქვს ძვირფას ცნობათა შემცველი სქოლიოები, რ-თა საფუძველზე, აგრეთვე სხვა წყაროთა გამოყენებით დაიწერა „ალექსანდრას“ განმარტებები. მათ ავტორობას იოანე ცეცეს მიაწერენ.